სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/06/2026

MES 7 26 0000672063

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესი (დანართი 1).

2. დამტკიცდეს ინციდენტის აღრიცხვის ფორმა (დანართი 2).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 10 აპრილის MES 1 25 0000398801 ბრძანება.

4. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი